



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: **ბ68. 682306013**
 თარიღი: **01/03/2023**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

ა) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი N 1-ის შესაბამისად;

დან. N 1

ღურსმანაშვილი ვლადიმერ	მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე
ჭიკაშვილი ვარლამ	მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე
დევიდარიანი დავით	მერის მოადგილე
გოლუბიანი კახაბერ	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
გელაშვილი ვლადიმერ	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
მაღლაკელიძე ნინო	საფინანსო-სახაზინო განყოფილების უფროსი
დვალაშვილი ეკა	საფინანსო სახაზინო განყოფილების სპეციალისტი
ბერაძე ინგა	მერიის საზოგადოებასთან ერთიერთობის განყოფილების უფროსი
შარიქაძე პეტრე	ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი
იჩქიტაძე ზურაბ	სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის უფროსი
კვიციანი ნანა	ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი
ჩხეიძე ირინა	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი
ბანცაძე ზურაბ	არქიტექტურისა და შედამხედველობის სამსახურის უფროსი
ღურსმანაშვილი ინგა	ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
კვინიკაძე მარინა	თურიდიული განყოფილების უფროსი
კიკალიშვილი დავით	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
კვიციანი ბესო	საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყ. კომისიის თავ-რე
ხვედელიძე მარინა	საკრებულოს განათლების, კულტ/ და სპორტის კომისიის თავ-რე
ღურსმანაშვილი ოთარ	საკრებულოს თურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ნიჯაკაძე შმაგი	საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარე
ვაქერ-სებისკვერაძე ლალი	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი
შერგელაშვილი რევაზ	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი

2. დამტკიცდეს 2023 - 2024 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2-ის შესაბამისად;

დანართი 2.

თარიღი/ვადა		აქტივობა
	1 მარტი	მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.
მარტი	1 მარტი	მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტს (ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები
	1 მარტი	სამართლებრივი აქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებაზე.
	1 მარტი - 5 მარტი	მერის სამართლებრივი აქტი, რომელის მიხედვითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და განისაზღვრა პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა, წარდგენის ვადები ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე
	15 მარტი	სამუშაო ჯგუფი წარმოდგენს მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილს, რომლის მიზანია შედგევი ინფორმაციის მიღება: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში.
	30 მარტამდე	სამუშაო ჯგუფის მიერ, გენდერული თანასწორობის საბჭოსთან და მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირთან კონსულტაციით, საპილოტე პროგრამებისა და ქვეპროგრამების შერჩევა, რომელთა შემუშავებისა და განხორციელების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერული ასპექტები
აპრილი	5 აპრილი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების I კვარტალის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	8 აპრილამდე	გენდერული ბიუჯეტირების განხორციელების მიზნით შერჩეული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ იმ პირების იდენტიფიცირება, რომელთაც ჩაერთვებიან გენდერული ბიუჯეტის განხორციელების პროცესში. მათი სამუშაო აღწერისა და სამოქმედო გეგმის მომზადება და სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენა;
	20 აპრილი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და დარგობრივი სამსახურების და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
	25 აპრილი - 30 აპრილი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2023 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	30 აპრილი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების I კვარტალის ანგარიშს (2023 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
ივნისი	15 მარტი- 31 მაისი	განაცხადის ფორმების დაზუსტება (საჭიროების შემთხვევაში), მოსახლეობის გამოკითხვა, შედეგების შეჯამება და ანალიზი.
	1 ივნისი	სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით).
	1 ივლისი	პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და შიდა საბიუჯეტო კალენდრის შესახებ (სადაც განსაზღვრულია შესაბამისი

ივლისი		მუნიციპალური სამსახურების ძიერ იხფორმაციის მოძიადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შევრების პერიოდულობა) გამოცემული სამართლებრივი აქტი და სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.
	5 ივლისი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 6 თვის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 ივლისი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანებთან ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	25 ივლისი - 30 ივლისი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2023 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	29 ივლისამდე	გენდერული ანალიზის საფუძველზე, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით საპილოტე პროგრამებისა და ქვეპროგრამების სამუშაო ვერსიის მომზადება და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისთვის მიწოდება 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვერსიაში გათვალისწინების მიზნით;
	30 ივლისი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშს (2023 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე

აგვისტო	1 ივნისი - 1 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი არჩეული პრიორიტეტის ფარგლებში (შესაძლებელია პრიორიტეტი არ დაკონკრეტდეს) აცხადებს მოქალაქეებიდან ახალი ინიციატივების მიღებას ახალ პროგრამებთან/ქვე-პროგრამებთან/ლონისძიებებთან დაკავშირებით, პროცესის მეთოდოლოგიისა (აქ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამოქალაქო ბიუჯეტირება) და ვადების მითითებით.
	1 აგვისტო	საბიუჯეტო ორგანიზაციები და პასუხისმგებელი სამსახურები ამზადებენ პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციას, აფასებენ მოქალაქეთა წინადადებებს ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან დაკავშირებით. ითვალისწინებენ ან არ ითვალისწინებენ ამ წინადადებებს მათი ობიექტური საფუძვლიანობიდან გამომდინარე და წარადგენენ სამუშაო ჯგუფის სხდომაზე.
	1 აგვისტო -5 აგვისტო	სამუშაო ჯგუფი სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად იხილავს წარმოდგენილ პროექტებს და შემდგომი რეაგირების მიზნით უგზავნის შესაბამის სამსახურებს
	2 აგვისტომდე	კვლევის შედეგებისა და გენდერული ბიუჯეტირების პროცესში განხორციელებული აქტივობების თაობაზე საპილოტე პროგრამების განმარტოვებელი სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სამუშაო ჯგუფისთვის ანგარიშის და მომზადებული დოკუმენტების წარდგენა.
	5 აგვისტო	საფინანსო სამსახური სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადადებს ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.
	5 აგვისტო	ზღვრული მოცულობები ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, ეგზავნებათ საბიუჯეტო ორგანიზაციებს და ისინი იწყებენ მუშაობას განაცხადის ფორმებზე
	5 აგვისტო - 15 აგვისტო	სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების სამუშაოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები) და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
	10 აგვისტომდე	სამუშაო ჯგუფის მიერ, გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მერიამი გენდერზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მომზადებული საპილოტე პროგრამებისა და ქვეპროგრამების პირველადი ვერსიის განხილვა და რეკომენდაციების მომზადება;
	20 აგვისტო	საბიუჯეტო ორგანიზაციები შეესებულ განაცხადის ფორმებს დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წარუდგენენ საფინანსო სამსახურს
	25 აგვისტო	საფინანსო სამსახური, იხილავს წარმოდგენილ განაცხადის ფორმებს და ამზადებს სამუშაოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს

სექტემბერი	1 სექტემბერი	მუნიციპალიტეტის მერი ამტკიცებს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას
	15 სექტემბერი	საფინანსო სამსახური საშუალოვადიან სამოქმედო გეგმისა და შევსებულ საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ამზადებს მომავალი წლის წლიური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს (მათ შორის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემაში).
ოქტომბერი	1 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარადგენს სამუშაო ჯგუფში, სამუშაო ჯგუფში ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების მოთხოვნები დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით.
	5 ოქტომბერი - 25 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, განმარტებით ბარათს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს და განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს
	5 ოქტომბერი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების 9 თვის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	10 ოქტომბერამდე	საპილოტე პროგრამებისა და ქვეპროგრამების პირველადი ვერსიის თაობაზე სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბოლოო ვერსიების მომზადება და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისთვის მიწოდება ბიუჯეტის პირველად ვერსიაში ასახვის მიზნით;
	20 ოქტომბერი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2023 წელი) პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელთა ერთად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	25 ოქტომბერი - 30 ოქტომბერი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2023 წელი) წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	25 ოქტომბერი - 31 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური (შესაძლებელია მომსახურების შესყიდვა) ამზადებს მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე ბიუჯეტის პროექტის გზამკვლევს
	31 ოქტომბერი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშს (2023 წელი) აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე
	31 ოქტომბერამდე	შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და საბიუჯეტო ორგანიზაციები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგენენ გენდერული ასპექტების გათვალისწინებით გადაამუშავებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბოლოო ვერსიებს, ხოლო საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს მათ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახვას.
ნოემბერი	5 ნოემბერი	საკრებულოსათვის წარდგენილ ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნებას საჯარო განხილვისთვის და ბიუჯეტის პროექტის გზამკვლევის დარიგებას დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამსახური.
	10 ნოემბერამდე	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ სამუშაო ჯგუფისთვის პრიორიტეტების დოკუმენტისა და პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიების წარდგენა, სადაც ასახულია გენდერული ასპექტები;
	15 ნოემბერი	თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერი) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს
	15 ნოემბერი - 19 ნოემბერი	ბიუჯეტის პროექტი, პრიორიტეტების დოკუმენტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართი რომელიც მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
	25 ნოემბერი	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს.
	10 დეკემბერი	ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს მუნიციპალიტეტის მერი

დეკემბერი		წარუდგენს საკრებულოს.
	31 დეკემბერი	საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.
იანვარი	4 იანვარი	ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა საფინანსო სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.
იანვარი	5 იანვარი	საფინანსო ორგანო გასული წლებისა და სხვა საჭირო მონაცემებზე დაყრდნობით ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
	15 თებერვალი	სამუშაო ჯგუფი შეისწავლის და განიხილავს წარმოდგენილ შესრულების ანგარიშებს და შეუძლია მიაწოდოს რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებთან, შემცირებასთან ან რესტრუქტურისაციასთან დაკავშირებით, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. ორგანიზაციები ითვალისწინებენ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს მომდევნო წლის სამუშაოების დაგეგმვისას.
	15 თებერვალი - 20 თებერვალი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპები საფინანსო სამსახურს უგზავნიან მათი ბიუჯეტისა და პროგრამების წლიურ ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.
	20 თებერვალი - 25 თებერვალი	საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
მარტი	25 თებერვალი - 1 მარტი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს
	1 მარტი	მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე

2. დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები N 3 დანართის შესაბამისად

3. დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ბატონ ვლადიმერ გელაშვილს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

- ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი N2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
- გ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები N4 დანართის შესაბამისად.

4. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს:

- ა) მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2024 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;
- ბ) გენდერული ბიუჯეტის დანერგვის პროცესში, აქტიურად ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- გ) სამუშაო ჯგუფის სხდომებზე, გენდერული ბიუჯეტის საკითხების განხილვის დროს, უზრუნველყოფილი იქნას გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლების (თავმჯდომარე, მდივანი და სხვა დაინტერესებული პირები), მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა და მონაწილეობა;

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება;
6. სამუშაო ჯგუფი იკრიბება არანაკლებ ორ თვეში ერთხელ, შეხვედრაზე განხილული იქნება განხორციელებული აქტივობები და დაიგეგმება შემდგომი ღონისძიებები;
7. ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობასა და შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მერის პირველ მოადგილეს ვარლამ ჭიპაშვილს;
8. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 1 მარტიდან.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N 7).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

